

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე
განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის №01-14/135 მომართვა - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-14/7404 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N01-14/60 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ-დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 ნოემბრის N01-14/6752 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 3022,0 კვ.მ ს/კ N20.42.05.345) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „მლდ კომპანია“-ზე გადაცემის თაობაზე;

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 დეკემბრის N01-14/7406 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი N82 -ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.12.03.589) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ო.რუამე“);

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7487 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.084) 15.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „გ.ტაკიძე“);

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7488 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ (ფ/პ „ზ.ირემადე“);

8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7489 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 20.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ნ.მჭავანაძე“);

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7490 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1(ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „რ.გორგილაძე“);

10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7491 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 51,1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.336) 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ნ.მენაღარიშვილი“);

11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7493 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ვ.აბაშიძე“);

12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7494 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.11.295) 60 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ხ.გოლიაძე“);

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7502 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.956) 40,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ბ.გოგიტიძე“);

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7509 მომართვა - პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N94-ის (ს/კ N20.42.18.054) ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N108-ის (ს/კ N20.42.06.847), ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N111-ის (ს/კ N20.42.06.392), ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N10-ის (ს/კ N20.42.06.347), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N3-ის (ს/კ N20.42.07.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ N20.42.08.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N26-ის (ს/კ N20.42.08.237), მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სულ ჯამში 6,0) შპს „თიბისი ფი“-ზე გადაცემა სწრაფი ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N01-14/61 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 18.6

კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე არჩეული პარლამენტის უფლებამოსილი ვადით იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს) ფუნქციონირების მიზნით (ს/კ №20.42.04.385) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

16. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N01-14/146 მომართვა - ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ N 20.42.04.705; ს/კ N20.42.04.269; ს/კ. N20.42.04.141 და ს/კ N20.42.04.589) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N1

ქ.ქობულეთი

29 იანვარი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 12-00 საათზე

დამთავრდა: 15-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, ლია შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, გიორგი გოგიტიძე, სულხან გორჯელაძე, მამია ჟორდანია, ნარგიზ რომანაძე, ნაილე ლაზიშვილი, ლელა ვერულიძე, მერაბ ცინცაბაძე, ჯანსუღ ჯინჭარაძე, პაატა ცინარაძე, დავით წულუკიძე, გელა გოგიტიძე, ავთანდილ გოგიბერიძე, მამული სურმანიძე, მამუკა შამილიშვილი, მანუჩარ ნიჟარაძე, ავთანდილ ზოიძე, გენადი თამაზაშვილი, რომან მოწყობილი, ქეთინო ქათამაძე, ავთანდილ ანანიძე, თედო ტაკიძე, ედნარ თურმანიძე, სოსო ჯაფარიძე, გურამ აბაშიძე, ვაჟა შავიშვილი, თემურ მოწყობილი, მალხაზ დიასამიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ბონდო თედორაძე, ვიტალი ქარცივაძე, არჩილ დუმბაძე, გია მჟავანაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ლევან ზოიძე;

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - დავით ვერულიძე;

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები: ზურაბ ამალლობელი, თეონა გეგიძე, ნათია ბასიაშვილი, მალხაზ რომანაძე, მინდია მეგრელიძე და სხვა.

აჭარის - TV;

TV -25;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის უფროსს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა 2021 წლის პირველი სხდომა, ყველას ჯანმრთელობა და წარმატებები უსურვა, მან ასევე მადლობა გადაუხადა სახელმწიფოს და ექიმებს იმ გაწეული შრომისთვის, სწორი ორგანიზებულობისთვის, მენეჯმენტისთვის და იმედისთვის, რომელიც პანდემიის მიერ გამოწვეულ ყველა პრობლემის ღირსეულად გადაჭრით გამოირჩეოდნენ. თავმჯდომარემ გააცნო წარმოდგენილი დღის წესრიგი დეპუტატებს და დასვა შეკითხვა აქვთ თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ქრისტიან კონსერვატიული“-ს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ ცინცაბაძემ ითხოვა სიტყვით გამოსვლა და განაცხადა, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა რის გამოც პარტიამ „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობა“-მ მიიღო გადაწყვეტილება პროტესტის ფორმა და ბოიკოტი გამოუცხადოს საკრებულოს სხდომებს.

მ.ცინცაბაძე - წერილობითაც მოგმართეთ გუშინ, თუმცა ჩვენი კოლეგებისთვისაც, რომ ყოფილიყო ცნობილი ორივე ფრაქციის გადაწყვეტილება, ამიტომ გადავწყვიტეთ ფრაქციების ბოიკოტის რეჟიმში გადასვლა გამოგვეცხადებია სხდომებზე საჯაროდ.

ამის შემდეგ დატოვეს სხდომათა დარბაზი მერაბ ცინცაბაძემ, ლელა ვერულიძემ, მალხაზ დიასამიძემ, ჯანსუღ ჯინჭარაძემ, მამული სურმანიძემ და პაატა ცინარიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, საკითხი უკვე ცნობილია მისთვის წერილობითი სახით, თუმცა ბოიკოტი არ არის გამოსავალი. მისი თქმით ეს არის მცდარი და არასწორი ნაბიჯი, რომელიც სამწუხაროდ ოპოზიციურმა ნაწილმა გადაწყვიტა. აქვე აღნიშნა, რომ მოსახლეობის პასუხისმგებლობა გვაკისრია მიუხედავად ყველაფრისა. ასევე აღნიშნა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატებიდან რამოდენიმეს 6 თვეა არ მიუღია მონაწილეობა საკრებულოს სხდომების მუშაობაში, საქართველოს ორგანული კანონი თვითმმართველობის შესახებ 43-ე მუხლი ითვალისწინებს დეპუტატის უფლებამოსილების შესწავლას და უფლებამოსილების შეწყვეტას. პროცედურები დაწყებულია, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიისთვის მიწოდებულია საკითხი შესწავლის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება წარმოდგენილ დღის წესრიგს დამატებოდა საკითხი კერძოდ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 იანვრის N01-14/244 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების შენახვის წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე, რომლის მომხსენებლად განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ინიცირებული საკითხი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 იანვრის N01-14/244 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების შენახვის წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მთლიანი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის №01-14/135 მომართვა - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლევან ზოიძე)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-14/7404 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N01-14/60 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ-დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალაშვილი)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 ნოემბრის N01-14/6752 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 3022,0 კვ.მ ს/კ N20.42.05.345) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „მლდ კომპანია“-ზე გადაცემის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალაშვილი)

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 დეკემბრის N01-14/7406 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ქობულეთში, დაღმაშენებლის გამზირი N82 -ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.12.03.589) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ო.რუაძე“);

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალაშვილი)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7487 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.084) 15.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „გ.ტაკიძე“);

(მომხსენებელი: ავთანდილ ანანიძე)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7488 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ (ფ/პ „ზ.ირემაძე“);

(მომხსენებელი: ავთანდილ ანანიძე)

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7509 მომართვა - პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N94-ის (ს/კ N20.42.18.054) ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N108-ის (ს/კ N20.42.06.847), ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N111-ის (ს/კ N20.42.06.392), ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N10-ის (ს/კ N20.42.06.347), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N3-ის (ს/კ N20.42.07.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ N20.42.08.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N26-ის (ს/კ N20.42.08.237), მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სულ ჯამში 6,0) შპს „თიბისი ფი“-ზე გადაცემა სწრაფი ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი: ავთანდილ ანანიძე)

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N01-14/61 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 18.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე არჩეული პარლამენტის უფლებამოსილი ვადით იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს) ფუნქციონირების მიზნით (ს/კ №20.42.04.385) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ;

(მომხსენებელი: ავთანდილ ანანიძე)

16. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N01-14/146 მომართვა - ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ N 20.42.04.705; ს/კ N20.42.04.269; ს/კ. N20.42.04.141 და ს/კ N20.42.04.589) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილი)

17. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 იანვრის N01-14/244 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების შენახვის წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის №01-14/135 მომართვა - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ლევან ზოიძემ, მომხსენებლის ინფორმაციით 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში

წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება ითვალისწინებს გარდამავალი თავისუფალი საბიუჯეტო ნაშთის შემცირებას და ადგილობრივ ბიუჯეტში დამტკიცებას 1858515 ლარით;

გადასახდელების ნაწილში წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით ძირითადად დაგეგმილია გასული წლის ყველა დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები. როგორც, ცნობილია აღნიშნული პროექტებისათვის გასული წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს ჩამოერიცხა თანხები პროექტების სრულად განსახორციელებლად. აღნიშნული გაუხარჯავი ფულადი ნაშთი საჭიროებს 2021 წლის ბიუჯეტში ასახვას. (იხ.დანართი)

- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ალამბარში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები თანხით **540881**ლარი.როგორც ცნობილია პროექტი გათვალისწინებული იყო 2020წლის ბიუჯეტით. გამომდინარე იქედან რომ ვერ მოხერხდა პროექტის დასრულება 2021 წლის ბიუჯეტით პროექტში ხარჯი გათვალისწინებული იქნა აუთვისებელი გასული წლის თანხების ოდენობით.

პროექტი დასრულდება 2021 წელში და აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი და კეთილმოეწყობა ბაღის ეზო.

- ❖ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობა.აღნიშნული პროექტი როგორც ცნობილია გარდამავალი პროექტია და უკვე გათვალისწინებულია 2021 წლის ბიუჯეტით, აღნიშნული წარმოდგენილი ცვლილებით კი პროექტის ღირებულება გაიზრდება 2020 წლის აუთვისებელი თანხების **425225** ლარის ოდენობით.

- ❖ ქალაქ ქობულეთში თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები გათვალისწინებულია **397885** ლარით.როგორც ცნობილია პროექტის განხორციელება დაიწყო 2020 წლის ბოლოს და ვერ მოხდა დასრულება.პროექტის დასრულების მიზნით ღონისძიება საჭიროებს 2021 წლის ბიუჯეტში ასახვას.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა, საავტომობილო გზის სავალ ნაზილზე დაიგება ასფალტის საფარი (700 გმ.მ-მდე), ასევე მოხდება სავალ ნაწილზე ჰორიზონტალური მონიშვნა უწყვეტი/ წყვეტილი ხაზებით და ქვეითთა გადასასვლელებზე.

- ❖ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯით გასული წლის ვალდებულების დაფარვის ნაწილში სულ გათვალისწინებულია **76896** ლარი შემდეგ პროექტებზე: 1)ქალაქ ქობულეთის შემოსასვლელში (ზ.ჟვანიას სახელობის (მდ. ჩოლოქის) ხიდთან) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული მანიშნებელი კონსტრუქციის ან/და ნაგებობის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა,2) ქ.ქობულეთის მუნიციპალიტეტში წყლის რეზერვუარების,სათავე ნაგებობების დამცავი კედლის მოწყობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა და 3) საბავშვო ბაღების(ჩაქვი,კვირიკე.გვარას) მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.

- ❖ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით დამატებით ბიუჯეტში განხორციელდა ფერდსამაგრი კედლების მოწყობის და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით **40 000** ლარის გათვალისწინება;

- ❖ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რიგი ღონისძიებისა ვერ დასრულდა კერძოდ,გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების მიმართულებით. 2020წელში მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ პროგრამის ფარგლებში სრულად თანხები, რაც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს დაუსრულებელი პროექტები თანხით **182174** ლარი.

- ❖ ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 4 ერთეული (რუსთაველის ქ. №166ა, რუსთაველის ქ.№162დ, რუსთაველის ქ.№140 და ლესელიძის ქუჩაზე) სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის დაგეგმილია აუთვისებელი თანხების დამატება თანხით **87730** ლარი.

❖ ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი გათვალისწინებულია 7724 ლარით.რიგი ინფარსსტრუქტურული ღონისძიებებისა დასრულდა,მაგრამ ვერ მოხერხდა მათზე ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების საფასურის ანაზღაურება.

❖ სარეზერვო ფონდში დამატებით დაიგეგმა 50 000 ლარი.

➤ ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალი - წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით წლის განმავლობასი ქობულეთის სოფლის წყალის ბალანსზე რიცხული წყლის სათავე ნაგებობებისა და წყალგაყვანილობის სისტემების მიმდინარე შენახვისა და მოვლის მიზნით უკვე ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზრდა განხორციელდება 50 000 ლარით.ორგანიზაცია შეიძენს დამატებით წყლის მიღებს და წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირების მიზნით საჭირო სხვადასხვა საგნებსა და მასალებს.

სულ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილებით 2021წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა შეადგენს 1 858515 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარემ დ.მჭედლიშვილმა დასვა შეკითხვა აქვთ თუ არა შენიშვნები ან კითხვები წარმოდგენილი საკითხის მიმართ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვაჟა შავიშვილმა განაცხადა, რომ კომისიაზე მოხდა აღნიშნული საკითხის დეტალური განხილვა, თუმცა მას აინტერესებს ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ვერ დაფინანსდა, დღეის მდგომარეობით, როგორ მიმდინარეობს და რა ვადებში მოხდება მისი დასრულება? ასევე 40 000 ლარი, რომელიც გამოყოფილია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაძენად ფერდსამაგრ სამუშაოების კედლების მოწყობაზე დაინტერესდა თუ რამდენი განცხადებაა შემოსული და საკმარისია თუ არა აღნიშნული თანხა შემოსული განცხადებების დასაკმაყოფილებლად? დარჩენილი თავისუფალი ნაშთის მიზნობრიობის განსაზღვრას, თუ აპირებთ უახლოეს მომავალში ცვლილებების გაკეთებას და მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებას, როგორიცაა წყლის სისტემის რეზერვუარის შეძენას, თუ იგეგმება?

ლევან ზოიძის განმარტებით დასასრულებელი პროექტები, რომლებიც 2020 წელში უნდა დასრულებულიყო არის გარდამავალი პროექტები, პროექტები არის შეჩერებული ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს ინტენსიურად, ასევე სამუშაოები ტარდება ხალას საბავშვო ბაღში, მიმდინარეობს ასევე საკანალიზაციო სამუშაოების მოწყობა. ფირმა, რომელიც ვერ შეასრულებს სამუშაოებს მითითებულ ვადებში დაეკისრება ჯარიმა. რაც შეეხება ფერდსამაგრ სამუშაოებს ძალიან ბევრი სამუშაოები განხორციელდა, ასევე მოხდა ახალი პროექტის შეძენა, ხოლო გამოყოფილი 40 000 ლარი სრულად საკმარისია იმ განაცხადებისათვის, რაც არის შემოსული, ხოლო შემდეგი ეტაპისათვის მოხდება კვლავ თანხის გათვალისწინება, რაც შეეხება თავისუფალ ნაშთს ყველა ტენდერის დასრულების შემდეგ მოხდება შეჯამება დარჩენილი ეკონომიების, რის შემდეგაც მოხდება მნიშვნელოვანი სამუშაოების დაგეგმვა.

რომან მოწყობილმა დასვა შეკითხვა გვარას საბავშვო ბაღის პროექტის დასრულება როდის მოხდება?

ლევან ზოიძის განმარტებით უახლოესი ბიუჯეტის ცვლილებების დროს მოხდება გვარას პროექტის დაფინანსება.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N01

(დადგენილება თან ერთვის)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-14/7404 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსმა თეონა გეგიძემ, მომხსენებლის ინფორმაციით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირების რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 5%-ს, თუმცა კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებსაც, 5% აღემატების რიცხოვნობის ზრდასთან დაკავშირებით გამონაკლის შემთხვევას ითანხმებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

შრომითი ხელშეკრულებით მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს საკრებულოსგან თანხმობას გაიზარდოს 2 შტატით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა. კერძოდ თანაშემწის ჯანდაცვის კუთხით, როგორც ცნობილია ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურში განხორციელდა რეორგანიზაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სამსახურში შემოდის ამრავი შეტყობინება, რომლითაც მოქალაქეები დახმარებას ითხოვენ. ასევე ზარებია სტიქიისა და სხვა გარემოებების არსებობისაც, რომელიც მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, რაც ჩვენ მოსახლეობას პრობლემებს უქმნის. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტიურად „ცხელ ხაზზე“ შემოსული უკავშირდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს არ ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც უპასუხებს კითხვებს, მიიღებს ზარებს და ასევე ცხელი ხაზის ნომერი განთავსდება შესაბამის საიტზე. ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში მერის თანაშემწის შ.შ.მ საკითხებში ხელშეკრულების აყვანასთან დაკავშირებით, აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი მაქსიმალურად წარმართავს და გაუწევს დახმარებას მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შ.შ.მ პირებს მერთან ურთიერთობაში რათა დროულად გადაიჭრას მათი პრობლემები, აგრეთვე ეფექტურს გახდის შ.შ.მ პირთა საბჭოს მუშაობას.

ვაჟა შავიშვილმა დასვა შეკითხვა,რომ რადგან პანდემიიდან გამომდინარე ჩაითვალა ახალი შტატის დამატება, რა ვადით აპირებთ ხელშეკრულების გაფორმებას? როგორც ვიცით პანდემის რეგულაციები მცირდება და რეგულაციები იხსნება.

თეონა გეგიძე - შრომითი ხელშეკრულება ზოგადად ფორმდება წლის ბოლომდე, მუნიციპალიტეტის მერი განსაზღვრას შრომითი ხელშეკრულების დადების პროცესს. პანდემიიდან გამომდინარე უამრავი ზარი შემოდის. მოსახლეობას მეტად სჭირდება დაკვალიანება ჯანდაცვის კუთხით.

დავით წულუკიძემ გააკეთა განცხადება ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ის შტატი, რომელიც გათვლილია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების კუთხით ორიენტირებულია მოსახლეობის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და როგორც კომისიის თავმჯდომარე მხარდაჭერას გამოთქვამს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N01

(განკარგულება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N01-14/60 მომართვა- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ-დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის უფროსმა ზურაბ ამალაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ყოველწლიურად მტკიცდება, რომელსაც თან ერთვის სქემატური ზონირებები ქალაქის ტერიტორიის და ნორმატიული ფასი გამოდის მინიჭებული კოეფიციენტის მიხედვით. პარლამენტის გათვალისწინებით ყოველწლიურად უნდა შეიცვალოს. ზონების მიხედვით რჩება ის ფასები, რაც იყო გასულ წელს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N02

(დადგენილება თან ერთვის)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 ნოემბრის N01-14/6752 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 3022,0 კვ.მ ს/კ N20.42.05.345) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „მლდ კომპანია“-ზე გადაცემის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვენსტიციო განვითარების სამსახურის უფროსი ზურაბ ამალაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომპანიას აქვს წინადადება მოაწყოს ტყე-პარკი და საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი გადასცემს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 3022,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „მლდ კომპანია“-ზე გადასცეს შემდგომში ტყე-პარკის მოწყობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 3022,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „მლდ კომპანია“-ზე გადაცემის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N02

(განკარგულება თან ერთვის)

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 28 დეკემბრის N01-14/7406 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ქობულეთში, დაღმაშენებლის გამზირი N82-ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ

20.12.03.589) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ო.რუამე“) - მოხსენება გააკეთა მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსმა ზურაბ ამაღლობელმა რომელმაც აღნიშნა, საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ. ქობულეთში, დაღმაშენებლის გამზირი N82-ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ავტოპარკინგის მოწყობის მიზნით, ხოლო წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარით, რომელსაც იყენებს მხოლოდ სეზონურად.

საკრებულოს თავმჯდომარემ დ.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის ერთი წლით იჯარით გადაცემა, რადგან 1200 ლარი წლიური თანხა განპირობებულია პანდემიიდან გამომდინარე შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ამიტომ მოხდეს ერთი წლით იჯარის გადაცემა და შემდეგ კვლავ გადაიხედოს იჯარაზე, როგორც ვიცით გასულ წელს იჯარის გადასახადიდან სრულიად განთავისუფლდნენ მოიჯარეები.

ვაჟა შავიშვილმა აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება აღნიშნულ წინადადებას იქედან გამომდინარე, რომ ფასი ნორმატიული ფასზე ნაკლებია, გათვალისწინებულია ტურისტული სეზონის მდგარდობის შენარჩუნება ამ პერიოდში. ამიტომ სასურველია ვადა განისაზღვროს ერთი წელით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქ. ქობულეთში, დაღმაშენებლის გამზირი N82-ის მიმდებარედ არსებული 418.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N02

(განკარგულება თან ერთვის)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7487 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.084) 15.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „გ.ტაკიძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.084) 15.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, ხოლო წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განისაზღვროს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 15.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N03

(განკარგულება თან ერთვის)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7488 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ (ფ/პ, „ზ.ირემადე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოქალაქე ითხოვდა სოფლის ცენტრში ხილბოსტნის განთავსებას თუმცა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და უარი ეთქვა გამომდინარე იქედან, რომ მაჟორიტარი დეპუტატის განმარტებით, სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა იგეგმება და შესაძლებელია არსებული ჯიხურების აღება დარჩეს სავალდებულო, ამიტომ ახალი ჯიხურის განთავსების შემთხვევაში შესაძლებელია ფიზიკური პირი დაზარალდეს. რის გამოც კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უარი ეთქვას ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემაზე და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 10.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ - საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7489 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 20.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ნ.მჟავანაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის

წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 20.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 20.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ - საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N05

(განკარგულება თან ერთვის)

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7490მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1(ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „გორგილაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1(ერთი) წლის ვადით სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.03.138) 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და წლიური საწყისი საიჯარო საფასური განსაზღვრის 150 (ას ორმოცდაათი) ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N06

(განკარგულება თან ერთვის)

10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7491 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 51,1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.336) 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ნ.მენაღარიშვილი“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით სამკერვალოს გახსნის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 51,1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.33.01.336) 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 51,1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 5.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ - საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N07

(განკარგულება თან ერთვის)

11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7493 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ვ.აბაშიძე“); - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, მომხსენებლის თქმით აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით სარეკლამო ოფისის განთავსების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განისაზღვროს 2260 (ორი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთში, აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N08

(განკარგულება თან ერთვის)

12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7494 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.11.295) 60 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ბ.გოლიაძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.11.295) 60 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო საწყისი წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N30-ის მიმდებარედ 150,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 60 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N9

(განკარგულება თან ერთვის)

13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7502 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.956) 40,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ბ.გოგიტიძე“) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ავტოსამრეცხაოს მოწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.06.956) 40,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთში, 9 აპრილის ქუჩა N28-ის მიმდებარედ 6906,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 40,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N10

(განკარგულება თან ერთვის)

14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 30 დეკემბრის N01-14/7509 მომართვა - პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N94-ის (ს/კ N20.42.18.054) ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N108-ის (ს/კ N20.42.06.847), ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N111-ის (ს/კ N20.42.06.392), ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N10-ის (ს/კ N20.42.06.347), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N3-ის (ს/კ N20.42.07.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ N20.42.08.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N26-ის (ს/კ N20.42.08.237), მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სულ ჯამში 6,0) შპს „თიბისი ფი“-ზე გადაცემა სწრაფი ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონლად მიაჩნია არსებულ ტერიტორიებზე თითო კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სულ ჯამში 6,0) შპს „თიბისი ფი“-ზე გადაცემა სწრაფი ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 1100 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე ქობულეთში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სულ ჯამში 6,0) შპს „თიბისი ფი“-ზე გადაცემა სწრაფი ტერმინალების განთავსების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N11

(განკარგულება თან ერთვის)

15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 იანვრის N01-14/61 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 18.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე არჩეული პარლამენტის უფლებამოსილი ვადით იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს) ფუნქციონირების მიზნით (ს/კ №20.42.04.385) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 18.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე არჩეული პარლამენტის უფლებამოსილი ვადით იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს) ფუნქციონირების მიზნით (ს/კ №20.42.04.385) ხოლო წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 1500 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მდებარე 18.6 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე არჩეული პარლამენტის უფლებამოსილი ვადით იჯარის ფორმით საქართველოს პარლამენტში ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ფუნქციონირების მიზნით საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N12

(განკარგულება თან ერთვის)

16. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 25 იანვრის N01-14/146 მომართვა - ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს/კ N 20.42.04.705; ს/კ N20.42.04.269; ს/კ.N20.42.04.141 და ს/კ N20.42.04.589) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია ბასიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცებას.

ვაჟა შავიშვილი აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე საკითხის განხილვის დროს ადმინისტრაციული დაპირების მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე გაეზარდა განაშენიანების კოეფიციენტი. აღნიშნული ადმინისტრაციული დაპირების ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, თუ აწე უნდა გაფორმდეს? დაპირების შესრულება შემდგომ იგეგმება თუ როდის მოხდება შესრულება. ასევე დაინტერესდა დანაპირების არ შესრულების შემთხვევაში რა ზომები არის გათვალისწინებული?

ნათია ბასიაშვილის განმარტებით ხელშეკრულება გაფორმებულია და ეტაპობრივად მოახდენს ყველა ვალდებულებების შესრულებას დაინტერესებული პირი. როგორც მშენებლობას აქვს დასრულების ვადა ასე აქვს ხელშეკრულებასაც დასრულების ვადა. სანამ შესრულებდა მშენებლობა მანამ დასრულებდა დაპირებული ვალდებულებით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომელსაც ითვალისწინებს ხელშეკრულება. თუ დაკისრებულ ვალდებულებას არ შეასრულებს ჯარიმდება და უჩერდება მშენებლობის ნებართვა. იმ ოთხი სართულის, რომლითაც იზრდება კოეფიციენტი.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. კომისიას მიზანშეწონლად მიაჩნია დამტკიცებულ იქნას ქალაქ ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N13

(განკარგულება თან ერთვის)

17. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 28 იანვრის N01-14/244 მომართვა-ქობულეთის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების შენახვის წესის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა თეონა გეგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული შინაური ცხოველების შენახვის წესს. აღნიშნული განკარგულების ძალაში შესვლის თანავე ძალადაკარგულად გამოცხადდება საქართველოს 2015 წლის N32 განკარგულება, რომელიც საკრებულოს უკვე ქონდა უკვე დადგენილი შინაური ცხოველების ყოველი წესი უმეტესაწესიერად დარჩენილი ცხოველები, რომლითაც ევალებათ სანდასუფთავებას, რომ გაატაროს საჯარიმო სანქციები. ცვლილება გამოიწვია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 დეკემბრის განკარგულების გამოცემამ, რომელითაც ეთხოვა მუნიციპალიტეტებს შინაური ცხოველების ყოლის წესში აუცილებლად გაითვალისწინონ ფიზიკური და კერძო პირების ვაქცინის სავალდებულობა, როგორცაა ცოფის ვაქცინა. მუნიციპალიტეტებს სთხოვა, რომ ეს წესი მიეღო სავალდებულოდ. როგორც ცნობილია ჯიხანჯური კარანტინად არის გამოცხადებული ცოფთან დაკავშირებით.

ნათია თხილაიშვილის თქმით ყველას უნდა გააჩნდეს პასუხისმგებლობა იმისა, რომ შინაური ცხოველების ყოლის შემთხვევაში უნდა ქონდეს ვალდებულება აცრის გაკეთების. ის დაინტერესდა თუ რითი მოხდება ამისი კონტროლი?

თეონა გეგიძის განმარტებით ეს არის სავალდებულო და ფაქტის დადგომის შემთხვევაში როცა ინციდენტი მოხდება და კერძო საკუთრებაში მყოფ შინაურ ცხოველს დაუდგინდება, რომ არ იქნება აცრილი და საფრთხეს შეუქმნის სხვას, მოხდება შესაბამისი ზომების მიღება ჯარიმის სახით.

საკრებულოს წევრები მანუჩარ ნიჟარაძე და რომან მოწყობილი დაინტერესდა სურსათის უვნებლობის სააგენტო აგრძელებს, თუ არა დაკისრებულ მოვალეობას? თუ პროცესები ვინ უნდა ჩაატაროს?

თეონა გეგიძეს განმარტებით კერძო პირს ვალდებულება ექნება თორემ სურსათის უვნებლობის სააგენტო ამ პროცესებში არის ჩართული. შესაბამისი სააგენტო გვავალდებს აღნიშნულ ღონისძიებებს.

ღია შაქარიშვილის თქმით საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და გაცილებით გლობალური ღონისძიებების გატარებაც არის საჭირო ცხოველთა დაცვისთვის, თუმცა ამ ერთი კომპონენტის მოგვარებაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ხომ არ აჯობებდა განკარგულებაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სავალდებულო უნდა გახდეს მოქალაქეებზე, რომლებმაც უნდა იზრუნონ ცხოველების მოვლაზე, ის ორგანიზაცია რომელიც აცრას განახორციელებს გასცეს შესაბამისი მოწმობა, რომელიც იქნება საშუალება იდენტიფიკაციის, რომ ნამდვილად გაკეთებული აქვს აცრა. ასეთ შემთხვევაში უკვე მარტივი იქნებოდა კონტროლიც. სასურველია შეასრულოს სამუშაოები შესაბამისმა უწყებამ.

თეონა გეგიძის თქმით მუნიციპალიტეტს ევალება მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის მიღება სხვა გადაწყვეტილებებს ვერ მივიღებთ, რადგან სურსათის უვნებლობის სააგენტოს პრეროგატივაა და ვერ ჩავერევით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N14

(განკარგულება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი